# აფხაზეთის ველოსიპედისტთა წარმატება

ნატახტრის გზატკეცილზე ორ დღეს გრძელდებოდა „დინამოს“ პირად-გუნდური პირველობა საგზატკეცილო ველორბოლაში ჭაბუკთა და გოგონათა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის, აჭარის, აფხაზეთისა და რუსთავის გუნდები.

პირველ დღეს ჩატარდა რბოლა დაყოფილი სტარტით. გოგონათა შორის 15-კილომეტრიან დისტანციაზე საუკეთესო შედეგს მიაღწია რუსთავის მოსწავლემ ა. პერეგუდოვამ — 27.17. უმცროსი ასაკის ჭაბუკთა შორის 20 კილომეტრზე რბოლა სოხუმელმა ვ. გლუშკოვმა მოიგო — 30.13. უფროსი ასაკის ჭაბუკთა შორის 25-კილომეტრიან რბოლაში ყველას აჯობა თბილისელმა ლ. სუთიძემ 37.21.

შეჯიბრების მეორე დღეს გაიმართა წყვილთა და ჯგუფური რბოლები. პირველ სახეობაში გაიმარჯვეს ტ. მალცევამ და ა. პერეგუდოვამ (რუსთავი), ჯგუფურ რბოლაში კი — ნ. ლაპიკომ (აფხაზეთი).

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი წილად ხვდა აფხაზეთის სპორტსმენთა კოლექტივს (მწვრთნელი ვ. ჯორბენაძე). მეორე ადგილზე გამოვიდა რუსთავის გუნდი (მწვრთნელი გ. ურთქმელიძე).

**სურათზე:** ჯგუფური რბოლის მონაწილენი დისტანციაზე.

ფოტო და ტექსტი ი. იუნაევისა.



# ოლიმპიელები — ფალავანთა მსაჯები

რესპუბლიკის პირად-გუნდური ჩემპიონატი ქართულ ჭიდაობაში

კასპი, 20 ივნისი (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). გუშინდელი ჩვენი ანგარიში შეჯიბრების პირველი დღის ტექნიკურ შედეგებზე სრული არ იყო: ქვემძიმე და მძიმე წონებში ორთაბრძოლები გვიან ღამით დამთავრდა და მკითხველისთვის უცნობია აქ ლიდერთა შორის მყოფთა ვინაობა. აი, ისინიც — დღეისათვის ქვემძიმე წონაში ყველაზე ნაკლები საჯარიმო ქულა (1) ჰქონდა საგარეჯოელ ქაიხოსროშვილს, ხოლო 2-2 ქულა — გორელ მდინარაძეს, სამხრეთ ოსეთის წარმომადგენელ ჯალაბაძეს და საქართველოს 1963 წლის ფალავანს თბილისელ ზურაბაულს. მძიმე წონაში ორი წმინდა გამარჯვება მოიპოვა გორელმა ყაჩმაზაშვილმა. 1 საჯარიმო ქულა აქვს ხაშურელ კულიჯანოვს.

ტექნიკური ანგარიში სრული არ იქნება, თუ მკითხველს არ წარმოვუდგენთ კიდევ ერთ გარემოებას: ეს-ესაა ძიუდოისტთა საერთაშორისო შეხვედრაში მონაწილეობის შემდეგ მოსკოვიდან საქართველოში ჩამოვიდნენ ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატები ა. კიკნაძე და ა. ქიბროწაშვილი. ტოკიოს კანდიდატებს მოულოდნელი ტრავმის თავიდან ასაცილებლად ჭიდაობის საკავშირო ფედერაციის მიერ აკრძალული აქვთ ოლიმპიური „განრიგით“ დაუგეგმავ შეჯიბრებაში გამოსვლა. მაგრამ საქართველოს ორგზის ფალავნის ა. კიკნაძისა და ორგზის ჩემპიონის ა. ქიბროწაშვილის რაინდული ერთგულება თავიანთი აღმზრდელი ეროვნული ჭიდაობისადმი იმდენად დიდია, რომ მათ მაინც გადაწყვიტეს ჩემპიონატში მონაწილეობა... მსაჯობის სახით.

ოლიმპიელებს, ისევე როგორც პირველობის მომსახურე სხვა მსაჯებს, გარკვეული სიახლით უხდებათ თავიანთი ფუნქციების შესრულება. საქმე ისაა, რომ რესპუბლიკური ჩემპიონატი პირველად ტარდება ახალი წესებით, სადაც მთავარი „სიურპრიზია“ ორთაბრძოლების ფრედ შეფასების შესაძლებლობა. ქართული ჭიდაობა და ფრე? — ეს საკითხი საგონებელში აგდებდა არა მარტო მაყურებლებს, არამედ ზოგიერთ სპეციალისტსაც. ხომ არ გამოიწვევს იგი პასიურობის მავნე და სახიფათო ტენდენციას?

პირველ კითხვაზე სრულიად გარკვევით შეიძლება ვუპასუხოთ: ფრე ქართულ ჭიდაობისთვის უცხო ხილი არ არის. მას ადრეც ჰქონდა ადგილი, ოღონდ სპეციფიკურად გამოითქმოდა — „გაშველება“.

თუმცა ახლა უკვე მეორე კითხვასაც შეიძლება ვუპასუხოთ, ყოველ შემთხვევაში, ამ ჩემპიონატზე წესების ახალ პუნქტს არ მოჰყოლია პასიურობა.

შეჯიბრების დღევანდელ წესებში არის კიდევ ერთი სიახლე, რომელიც ანტაგონისტურად მოქმედებს პასიურობაზე და ზემოაღნიშნულ ეჭვზე. წმინდად დამარცხების შემთხვევაში, სპორტსმენს 3 საჯარიმო ქულა კი არ ეძლევა, არამედ 4, ხოლო მის მეტოქეს არც ერთი. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ პასიურობისთვის მეორე გაფრთხილების შემთხვევაში მოჭიდავე იხსნება სარბიელიდან, ე. ი. წმინდა დამარცხება ეთვლება, ადვილი გასაგებია, როგორ ცდილობს ორთაბრძოლის ყოველი მონაწილე აიცდინოს ეს უსიამოვნო პროცედურა.

ამრიგად, სტიმული აქტიური ჭიდაობისათვის არის. სახეზეა მისი მოქმედება აღნიშნულ ჩემპიონატზე. მოჭიდავეები ცდილობენ იყვნენ რაც შეიძლება აქტიურნი, შემტევნი.

## უკანასკნელ საათს!

5 წრის შემდეგ წონით კატეგორიებში ლიდერობენ: **უმჩატესში** — ჩ. ქუცნიაშვილი (თბილისი) — 2 საჯარიმო ქულა, გ. ბეინიშვილი (გორი) — 5; **მჩატეში** — ა. ჯანგველაძე (აჭარა), რ. ბუკულოვი (გორი) — 2-2, ბ. ქიქიაშვილი (თბილისი) — 5, **ქვემსუბუქში** — გ. ბალხამიშვილი (კასპი) — 0, შ. დავითაშვილი (კასპი)—1, კ. ჯობავა (აფხაზეთი) — 4; **მსუბუქში** — ა. ოდიშვილი (გორი) — 1, შ. იმერლიშვილი (მცხეთა) — 3, ფ. ჭავჭავაძე (თბილისი) — 5; **ქვესაშუალოში** — ვ. ბორჩაშვილი (ახმეტა), ს. ბახტაძე (გორი)— 5—5; **საშუალოში** — შ. გულიაშვილი (თბილისი) — 0, ბ. ბაღაკაშვილი (გორი) — 2; **ქვემძიმეში** — ა. ზურაბაული (თბილისი) — 2, გ. გოგოლაური (მცხეთა) — 3; **მძიმეში** — ნ. ყაჩმაზაშვილი (გორი) — 1, მ. კულიჯანოვი (ხაშური), გ. მელიქოვი (ქუთაისი) — 4—4.

## უკანასკნელ საათს!

**ამსტერდამი, 20 ივნისი.** დღეს საზონათშორისო საჭადრაკო ტურნირზე მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. ლარსენმა დაამარცხა სპასკი, ივკოვმა — პახმანი. ყაიმით დამთავრდა ტრინგოვ — ბრონშტეინის შეხვედრა. უკანასკნელი ტურის წინ, რომელშიც საბჭოთა დიდოსტატები თეთრებით ითამაშებენ, ლიდერთა ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა: სმისლოვი და ლარსენი — 16,5 ქულა თვითეულს, ტალი, შტეინი და სპასკი — 16 თვითეულს, ბრონშტეინი — 15,5.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-20 წელი

№ 121 (2484) ◉ კვირა, 21 ივნისი, 1964 წ. ◉ ფასი 3 კაპ.


# საათის ისარი უახლოვდება... ევროპის თასის ფინალს

**მადრიდი,** 20 ივნისი (საქდესის სპეც. კორ. ა. სტაროდუბი). ხვალ, კვირადღის 20 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით, ხოლო ადგილობრივი დროით შვიდის ნახევარზე, დაიწყება გადამწყვეტი მატჩი ევროპის თასზე ფეხბურთში. ესპანეთის ნაკრები შეხვდება საბჭოთა ფეხბურთელებს. ჩვეულებრივ, აქ თამაშებს ორი საათით გვიან იწყებენ ხოლმე, მაგრამ ფინალური მატჩის მომწყობნი, როგორც ჩანს, იმედოვნებენ თამაშის ადრე დაწყებით ერთგვარად აამაღლონ შანსები თავიანთი მოთამაშეებისა, რომლებიც საბჭოთა სპორტსმენებთან შედარებით უკეთესად იტანენ სიცხეს.

სსრ კავშირის ნაკრები ესპანელთათვის კვლავ გამოცანად რჩება. ეს გარემოება მათ საგრძნობლად აწუხებთ. აქაურები თვლიან, რომ დანიელებთან ნახევარფინალურ მატჩში საბჭოთა ფეხბურთელებმა მთლიანად არ „გახსნეს კარტები“. რა სიურპრიზებს შეიძლება მოველოდოთ საბჭოთა ნაკრებისგან და აპირებენ თუ არა მისი მწვრთნელები გუნდის როგორღაც გაძლიერებას? ეს კითხვები აქ ბევრს მოსვენებას არ აძლევს. ჩვენი ნაკრების შემადგენლობა გამოცხადდება მატჩის დღეს. ალბათ, იგი ისეთივე იქნება, როგორიც 17 ივნისს. შესაძლოა ერთი-ორი მოთამაშის შეცვლა...

ჩვენი სპორტსმენები თავს კარგად გრძნობენ. პარასკევ საღამოს მათ ჩაატარეს წვრთნა „სანტ-იაგო ბერნაბეუს“ სტადიონზე, სწორედ იმ მინდორზე, რომელზეც ხვალ თამაში მოუწევთ. გაზეთებმა თვალსაჩინო ადგილებზე გამოაქვეყნეს დიდი სტატიები ჩვენს გუნდზე და მისი წვრთნის ამსახველი მრავალი ფოტოსურათი. ბარსელონის სტადიონთან შედარებით მადრიდისამ ჩვენზე ნაკლები შთაბეჭდილება მოახდინა, — ბარსელონისა უფრო დიდებული, ლაღი და კოხტაა. „სანტ-იაგო ბერნაბეუს“ მინდორი კარგია, მაგრამ ბარსელონისაზე უარესი.

სტადიონი ყოველმხრივ შემოჯარულია მაღალი სახლებით, რომელთა ზედა სართულებიდან შეიძლება მატჩის ნახვა. „ბერნაბეუს“ ტრიბუნებზე 120.000 ადგილია (სხვა ცნობებით, ეს ციფრი 28 ათასით ნაკლებია. ასეთ „სხვადასხვაობას“ ჩვენ უკვე წავაწყდით ბარსელონაში, როცა სტადიონის ტევადობა გვსურდა გაგვეგო).

„ბერნაბეუზე“ ადგილების უმეტესობა სადგომია; ეს ერთი შეხედვით ჩანს. სარბენი ბილიკი და მძლეოსნური სექტორები არაა. აქ, ისევე როგორც „ბარსელონაზე“, მხოლოდ ფეხბურთის თამაში შეიძლება.

მადრიდის გაზეთები წერენ, რომ არც ესპანეთის ნაკრების მწვრთნელები აპირებენ მოთამაშეთა შეცვლას, რომელნიც 17 ივნისს უნგრელების წინააღმდეგ გამოვიდნენ. თუმცა, ყოველნაირად „აბრუნებენ“ ხმებს ნახევარფინალურ მატჩში ნაკრების საუკეთესო ფორვარდების —სუარესის, მარსელინოსა და ამანსიოს ტრავმირებაზე. მაგრამ აი, გაზეთმა „ინფორმასიონმა“ გამოაქვეყნა განცხადება გუნდის ექიმისა, რომელსაც მხოლოდ სუარესის დაზიანებული ხელი აშფოთებს. დანარჩენი ორი სავსებით გამოჯანმრთელებულა.

ადგილობრივ მიმომხილველებსა და გულშემატკივრებს, როგორც ეს ხშირად ხდება, თავიანთი აზრი აქვთ, თუ ვინ უნდა ითამაშოს სსრ კავშირის ნაკრებთან. გაზეთ „ელ ალკასარის“ სპორტული განყოფილების რედაქტორმა ფერნანდო ალბერტმა მითხრა: „ჩვენი სურვილია თავდასხმაში პენტოსა და ვილიას გამოყვანაო“. პირველი მსოფლიოს ერთ-ერთი უბრწყინვალესი ფორვარდია, მეტისმეტად სწრაფი, მდიდარი ფანტაზიის პატრონი, რომელსაც შეწევს უნარი რომელიც გნებავთ მეტოქე „გააბრუოს“. მაგრამ პენტო ჭირვეული და თავნებაა, ყურს არ უგდებს მწვრთნელებს და ისინიც გაურბიან ნაკრებში მის გამოყენებას. 26 წლის ვილია პენტოზე 6 წლით უმცროსია. თავის დროზე იგი მადრიდის „რეალის“ ჭაბუკთა გუნდიდან „ჩამოწერეს“... პროვინციულ კლუბ „სარაგოსაში“. სწორედ აქ, ორ წელიწადში გაიფურჩქნა ვილიას ნიჭი და იგი მაღალი კლასის მოთამაშე გახდა. „რეალმა“ თავში ხელი შემოირტყა, მისი დაბრუნება მოინდომა — 11 მილიონი პესეტი შეაძლია, მაგრამ უარი მიიღო. ამჟამად ვილია ნაკრებში გადის წვრთნას. „ჩვენი კოზირია ესპანელ ფეხბურთელთა ინდივიდუალური ოსტატობა და მათი დიდი სისწრაფე“, —დაამატა ფერნანდო ალბერტმა. — თუ ჩემი თანამემამულენი პირველ ტაიმში ორი ბურთის გატანას შეძლებენ, მაშინ მოვიგებთ“.

ბევრი ესპანელი გვეუბნებოდა, რომ მათი გუნდი თავიდან ბოლომდე მაღალ ტემპს ვერ გაუძლებს. მრავალი სხვა ვარიანტიც გამოითქვა, მაგრამ დღესდღეობით მხოლოდ ერთი რამ შეიძლება ითქვას დაბეჯითებით: ესპანელები თამაშზე ცისფერი მაისურებით გამოვლენ. და ჩვენც ნუ ვიმარჩიელებთ — ინგლისელმა მსაჯმა არტურ ჰოლანდმა რამდენიმე საათის შემდეგ გუნდები ხომ სასპარეზოდ უნდა გამოიყვანოს!

მატჩისადმი ინტერესი განუზომლად დიდია. და არა მარტო ჩვენში და ესპანეთში, არამედ მთელს მსოფლიოში — მადრიდში ასზე მეტი უცხოელი კორესპონდენტი ჩამოვიდა.

თუ 21 ივნისის მატჩი ფრედ დამთავრდება, მსაჯი 30 წუთით კვლავ გამოიძახებს გუნდებს. თუ ისევ ფრე იქნება, მაშინ ფინალი გაიმართება 23 ივნისს ვალენსიაში. მაგრამ გამარჯვებული თუ აქაც არ გამოვლინდა? მაშინ თასის ბედს გადაწყვეტს წილისყრა.

## დღეს მადრიდში

◆ დღეს მადრიდში ფინალია! ევროპის თასის გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს ხვდებიან ესპანეთისა და სსრ კავშირის ფეხბურთელები.

შევახსენებთ ამ ორი გუნდის გზას პირველი მატჩიდან ფინალამდე. **ესპანეთი:** რუმინეთთან — 6:0, 1:3, ჩრდილოეთ ირლანდიასთან — 1:1, 1:0, ირლანდიასთან — 5:1, 2:0, უნგრეთთან — 2:1. **სსრ კავშირი:** იტალიასთან — 2:0, 1:1, შვეციასთან — 1:1, 3:1, დანიასთან — 3:0.

◆ საბჭოთა კავშირისა და ესპანეთის ნაკრებ გუნდებს ერთხელ უკვე უნდა ეთამაშათ იმავე ევროპის თასზე 1960 წელს. მაგრამ მატჩი არ შედგა იმის გამო, რომ ესპანეთის ხელისუფლებამ ნება არ დართო თავის სპორტსმენებს ჩამოსულიყვნენ სსრ კავშირში. როგორც ხედავთ, „ნაცნობობა“ მაინც შედგა: ეს ორი გუნდი ერთმანეთს ხვდება თასის ფინალში.

◆ 1960 წელს ესპანეთის ნაკრების ხელმძღვანელი იყო ცნობილი მწვრთნელი ე. ერერა. მისი აზრით, მომავალ მატჩში ესპანელ ფეხბურთელთა დამარცხება ძალზე ძნელი საქმე იქნება, ვინაიდან მათთვის მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა საკუთარი მაყურებელი და ის დიდი სიცხეც, რომელიც ახლა ესპანეთის დედაქალაქში დგას.

◆ გასაოცარია, მაგრამ ფაქტია. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში პირველად შევიდა არა ესპანეთის ეროვნული ფედერაცია, არამედ... მადრიდის კლუბი „რეალი“. ეს მოხდა 1906 წელს.

სსრ კავშირისა და ესპანეთის ნაკრები გუნდების ფინალური მატჩი ევროპის თასზე შედგება დღეს, მადრიდის „სანტ-იაგო ბერნაბეუს“ სტადიონზე.

საკავშირო რადიო აწარმოებს მატჩის ტრანსლაციას 20 საათსა და 25 წუთზე მეორე პროგრამით, 21 საათსა და 25 წუთზე პირველი პროგრამით (დრო მოსკოვისაა).

◆ საბჭოთა გუნდი მთელი შემადგენლობით უყურებდა ესპანეთისა და უნგრეთის ფეხბურთელთა ნახევარფინალური მატჩის ტრანსლაციას ტელევიზიით. შთაბეჭდილება ძალზე ძლიერი იყო. ესპანელები თამაშობდნენ მთელი თავიანთი მაქსიმუმით, თუმცა ბოლოს მათ დაღლილობა დაეტყოთ. აი, საბჭოთა დელეგაციის წევრთა განცხადებანი: ა. სტაროსტინი: „ორივე გუნდმა აჩვენა უმაღლესი ტექნიკური ოსტატობა, მაგრამ მაინც შესამჩნევი იყო ნერვული დაძაბულობა. ეს უფრო ეტყობოდათ უნგრელებს, რომლებმაც ვერ გამოავლინეს მათთვის ჩვეული დინამიურობა". კ. ბესკოვი: „როგორც ესპანელები, ისე უნგრელები ძლიერი მოწინააღმდეგეები არიან, მაგრამ უნგრელებთან ჩვენ წინა გვაქვს მატჩი სექტემბერში, ესპანელებთან კი არ გვითამაშია უკვე ათეული წლებია. ამიტომ მათთან შეხვედრა განსაკუთრებით საინტერესოა". ნ. გულიაევი: „ესპანელთათვის დამახასიათებელია ბურთის დამუშავების დიდი სისწრაფე. ეს მათი მთავარი კოზირია". ა. შესტერნიოვი: „უნგრელი მცველები მჭიდროდ არ იჭერდნენ მეტოქე თავდამსხმელებს და მათ თავისუფალი თამაშის საშუალებას აძლევდნენ. ჩვენმა დაცვამ უშეცდომოდ, „ხუთზე" უნდა ითამაშოს ესპანელებთან, თავდამსხმელები კი, ჩემის აზრით, შეძლებენ სათანადო „გასაღების" შერჩევას".

◆ „ბარსელონას" სტადიონის დირექტორმა რ. კომბასმა სსრ კავშირისა და დანიის გუნდების შეხვედრის შემდეგ განაცხადა: „საბჭოთა გუნდი ჩინებულია. მაგრამ ევროპის თასს მაინც ჩვენ მოვიგებთ: ესპანელები თამაშობენ უფრო სწრაფად და, გარდა ამისა, უფრო შეჩვეული არიან სიცხეს".

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

## „ბ" კლასი

### „კოლხიდა" (ფოთი) — „დინამო" (ბათუმი) 1:1 (0:0)

**ფოთი**, 20 ივნისი. (ტელეფონით ჩვენი კორ.). სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ" კლასის რსფსრ-ს IV ზონის გუნდების — ფოთის „კოლხიდისა" და ბათუმის „დინამოს" მატჩს, რომელიც დღეს აქ გაიმართა, ძალიან ბევრი მაყურებელი დაესწრო. ეს ბუნებრივიც იყო: ფოთელები ხომ ეს-ესაა დაბრუნდნენ ნორვეგიაში ტურნედან. მათ იქ 4 მატჩი ჩაატარეს, აქედან 3 ფრედ დაამთავრეს, ხოლო ერთი მოიგეს ქ. ბიუდოს „გლიმტთან" (2:1); ბათუმის „დინამო" კი ამ ზონის გათამაშების ლიდერია.

შეხვედრა საინტერესოდ ჩატარდა. ორივე კართან ხშირად იქმნებოდა სახიფათო მომენტები, მაგრამ მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ როგორც „კოლხიდის", ისე „დინამოს" მეკარეები და მცველები.

შესვენების შემდეგ დინამოელმა ქლივიძემ 20 მეტრიდან ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში. შუა ტაიმში ფოთელებმა კარგად გაითამაშეს საჯარიმო — ტერეშკოვმა ბურთი ჩააწოდა „დინამოს" კართან და ადამიამ იგი თავური დარტყმით სტუმრების კარში გაგზავნა — 1:1. ასე დამთავრდა მატჩი.

• • •

**„ბ" კლასის ფეხბურთელთა IV ზონის გუნდების შეხვედრების ანგარიში ასეთია: „თერგი" (გროზნო) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 2:1, „დინამო" (მახაჩყალა) — „დინამო" (სტავროპოლი) 0:0, „დინამო" (ბაქო) — „სპარტაკი" (ნალჩიკი) 3:2, „დინამო" (კიროვაბადი) — „უროჟაი" (მაიკოპი) 3:0, „შირაქი" (ლენინაკანი) — „ლორი" (კიროვაკანი) 2:0.**



მოგვყავს მორიგი ტურის მატჩების შედეგები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში პირველი ჯგუფის II ქვეჯგუფში: „შახტმშენი" (მარნეული) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 3:3, „მექანიზატორი" (ფოთი) — სკა (თბილისი) 1:2, „სალხინო" (გეგეჭკორი) — „იხანი" (თბილისი) 3:3, „წინსვლა" (წულუკიძე) — სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი) 1:1, „ნადიკვარი" (თელავი) — „დურუჯი" (ყვარელი) 1:1, „საირმე" (მაიაკოვსკი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 0:0, „დინამო" (სოხუმი) — „კახეთი" (ველისციხე) 0:0, „იხანი" (თბილისი) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 5:2.

### გათამაშების ცხრილი

II ქვეჯგუფი — მდგომარეობა 21 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სამეგრელო" (ზუგდიდი) | 11 | 9 | 2 | 0 | 16—1 | 20 |
| „წინსვლა" (წულუკიძე) | 11 | 5 | 5 | 1 | 13—7 | 15 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 11 | 5 | 5 | 1 | 14—9 | 15 |
| „შახტმშენი" (მარნეული) | 11 | 5 | 5 | 1 | 15—11 | 15 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 11 | 4 | 4 | 3 | 18—10 | 12 |
| „მექანიზატორი" (ფოთი) | 11 | 4 | 3 | 4 | 13—12 | 11 |
| „სპარტაკი" (ცხინვალი) | 10 | 3 | 4 | 3 | 11—12 | 10 |
| „ნადიკვარი" (თელავი) | 11 | 3 | 4 | 4 | 11—15 | 10 |
| „საირმე" (მაიაკოვსკი) | 11 | 4 | 2 | 5 | 10—16 | 10 |
| „სალხინო" (გეგეჭკორი) | 10 | 3 | 3 | 4 | 27—19 | 9 |
| „იხანი" (თბილისი) | 11 | 3 | 3 | 5 | 15—14 | 9 |
| სახ. უნივერს. (თბილისი) | 9 | 3 | 3 | 3 | 6—7 | 9 |
| „დურუჯი" (ყვარელი) | 11 | 3 | 3 | 5 | 8—10 | 9 |
| სკა (თბილისი) | 11 | 2 | 5 | 4 | 11—14 | 9 |
| „კახეთი" (ველისციხე) | 11 | 1 | 2 | 8 | 10—15 | 4 |
| „დინამო" (სოხუმი) | 11 | 0 | 3 | 8 | 3—12 | 3 |

## მეცნიერება — სპორტს



ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მეცნიერულ კვლევას დიდ დროსა და ენერგიას უთმობენ ფიზკულტურის ცენტრალური ინსტიტუტი და ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ამ დაწესებულებების მეცნიერ-მუშაკები სწავლობენ სხვადასხვა ფიზიკური ვარჯიშის დროს სპორტსმენის ორგანიზმში მიმდინარე პროცესებს. ნაირგვარი ხელსაწყოები სპორტსმენს ხელს უწყობენ ამა თუ იმ მოძრაობის ათვისებაში.

პირველ სურათზე თქვენ ხედავთ გულ-სისხლ-ძარღვოვანი სისტემის დინამიკის კვლევის პროცესს სპორტსმენის ფიზიკური დატვირთვის დროს. ველოერგომეტრზეა ფიზკულტურის ცენტრალური ინსტიტუტის სტუდენტი ვ. გუშჩინი.

მომდევნო ფოტოზე სპორტსმენ ქალს ზემოდან სინათლის ინდიკატორი აქვს დამაგრებული. ეს ხელსაწყო მოციგურის სხეულის დახრილობის კუთხეს განსაზღვრავს.

კუთხურ ცვლილებებს განსაზღვრავს მოწყობილობაც, რომელიც მესამე სურათზეა აღბეჭდილი. ორძელზე ვარჯიშობს პირველთანრიგოსანი სტუდენტი ვ. ფადეევი.

დაბოლოს, უკანასკნელი ფოტო. ფიზკულტურის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტი ა. ნაუმოვა აპარატის საშუალებით სწავლობს მოძრაობათა კოორდინაციას. ვარჯიშს ასრულებს სპორტის ოსტატი ტ. კომისაროვა.

ფოტო ვ. ტუტოვისა (საქდესი).

## კომუნისტური შრომის ფიზკულტურული ბრიგადა

ჩვენს რესპუბლიკაში არსებულ გაერთიანებულ ფიზკულტურულ კოლექტივთა შორის ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირავს თბილისის საავეჯო საწარმოო გაერთიანება „განთიადის" ფიზკულტურულ ორგანიზაციას.

კოლექტივი (საბჭოს თავმჯდომარე რ. დილმელაშვილი) თბილისის რაიონებში არსებულ 9 საავეჯო ფილიალს აერთიანებს და არსებობის დიდი ისტორია როდი აქვს. იგი შეიქმნა გასული წლის მაისში. ერთი წლის მანძილზე მუშა-მოსამსახურეთა შორის მასობრივ - ფიზკულტურული, სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობის სათანადო დონეზე დაყენებისათვის აქ ნაყოფიერი შრომა გაწიეს.

ფიზკულტურული კოლექტივი საზოგადოების 700-ზე მეტ წევრს ითვლის. 14 სახეობის სექციებში სისტემატურად მეცადინეობს 1.100-მდე კაცი.

ფილიალებს შორის საბჭო სისტემატურად ატარებს შეჯიბრებებს ცალკეულ სახეობებში. ნაკრები გუნდები რეგულარულად ცდიან ძალებს, როგორც ქალაქის, ისე ცენტრალური საბჭოს პირველობებში. მარტო გასულ წელს კოლექტივმა 15 ლონისძიებაში მიიღო მონაწილეობა, რის შედეგად დროულად და გადაჭარბებით შესრულდა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების ყველა ძირითადი მაჩვენებელი. გასულ წელს აქ მომზადდა 5 პირველთანრიგოსანი, 70 მეორე და მესამეთანრიგოსანი, 50 საზოგადოებრივი ფიზკულტურული მუშაკი.

საბჭო დიდ ყურადღებას უთმობს წარმოებაში ფიზკულტურელთა ავანგარდული როლის ზრდის საკითხს. ფიზკულტურელთა უმრავლესობა წარმოების მოწინავეა და გეგმებს 150-160 პროცენტით ანაღდებს.

შარშან გაერთიანების სპორტსმენებმა შექმნეს ფიზკულტურული ბრიგადა, რომლის შემადგენლობაში არიან სპორტის ოსტატი ჭიდაობაში ვ. ჯიბლაძე (ბრიგადირი), ფეხბურთელი ლ. ცოტაძე, მსროლელები გ. გოგოლაშვილი და ვ. ტკაჩენკო, მოჭიდავე ვ. ჩარაევი, მოშაშე ნ. ჭიქაშუა, ტურისტი მ. მეჩიკოვი და სხვები. ბრიგადა დაუღალავად იბრძოდა კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელის მოსაპოვებლად და საწადელსაც მიაღწია.

კომუნისტური შრომის ფიზკულტურული ბრიგადა ახლაც გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს, იღწვის შრომის ნაყოფიერების შემდგომი განუხრელი ზრდისთვის.

კარგი იქნებოდა, თუ მეავეჯეთა გამოცდილება ფართოდ დაინერგებოდა ყველა ფიზკულტურულ ორგანიზაციაში. უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ ყველა საწარმოს ფიზკულტურულ კოლექტივში ჩამოყალიბდეს სპორტის მოწინავეთაგან შემდგარი, კომუნისტური შრომის სახელწოდების მოსაპოვებლად მებრძოლი ბრიგადები.

**ტ. კიკნაველიძე,**
„განთიადის" ცენტრალური საბჭოს საორგანიზაციო მუშაობისა და კადრების განყოფილების გამგე.



# უკეთესის იმედი ვიქონიოთ!

საერთაშორისო ჩოგბურთში ძალზე მყარია დიდი ხნის დამკვიდრებული ტრადიციები. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ დღემდე სპორტის ამ სახეობაში არ თამაშდება მსოფლიოსა და ევროპის ოფიციალური ჩემპიონატები. მსოფლიოსა და კონტინენტის საუკეთესო ჩოგბურთელებს არ ეძლევათ ოქროს მედლები, არ ენიჭებათ ჩემპიონის წოდებები. სამაგიეროდ, 1877 წლიდან ყოველწლიურად ივნის-ივლისში ლონდონის მახლობლად ტარდება სახელგანთქმული უიმბლდონის ტურნირი, რომელიც, ფაქტიურად, მსოფლიოს პირად პირველობად ითვლება. უიმბლდონის ტურნირში გამარჯვებულები ყველას მიერ აღიარებულნი არიან „წლის № 1 სპორტსმენებად". 1900 წლიდან თამაშდება დევისის თასი. ამ თასზე გამარჯვებულებს მსოფლიოს საუკეთესო გუნდად აღიარებენ.

უიმბლდონის მორიგი ტურნირი იხსნება ხვალ, 22 ივნისს. ეს ძალიან დიდი შეჯიბრებაა, რომელიც ორ კვირას გასტანს. ორთაბრძოლები ერთდროულად 20-ზე მეტ მწვანე კორტზე გაიმართება. ეს შეცდომა არაა. სწორედ მწვანეზე: მოედნები დაფარულია ბალახით. ჯერ კიდევ იანვარ-თებერვალში ამ შეჯიბრების ყოველ დღეზე ყველა ბილეთი გაიყიდა, თუმცა სტადიონი 25.000-მდე მაყურებელს იტევს. ჩვეულებრივად, უიმბლდონის ტურნირზე ჩამოდიან ყველა ხუთი კონტინენტის საუკეთესო მოთამაშეები — 128 ვაჟი, 96 ქალი და დაახლოებით 50 გოგონა და ჭაბუკი. ამ შესანიშნავ ჩოგბურთელთა პლეადაში 6 საბჭოთა სპორტსმენია, ხოლო მათ შორის ორი თბილისელი: 20 წლის ა. მეტრეველი და 17 წლის ა. ივანოვა.

დიდი პატივია მონაწილეობდე ასეთ დიდ შეჯიბრებაში. ჩვენი ქვეყნის მეორე მოთამაშე ა. მეტრეველი მესამედ მიიღებს მონაწილეობას ამ ასპარეზობაში. ა. ივანოვა, საბჭოთა გოგონებს შორის უძლიერესი, პირველად გამოდის საზღვარგარეთ. ძალზე ძნელია და მით უფრო საამაყო გახდე უიმბლდონის ტურნირის გამარჯვებული ან პრიზიორი. და, მიუხედავად ამისა, ეს შეძლო ზოგიერთმა საბჭოთა ჩოგბურთელმა: 1959 წელს თ. ლეიუსმა, ხოლო 1961-62 წლებში გ. ბაკშეევამ იუნიორთა ტურნირში პირველი ადგილები დაიკავეს. ა. მეტრეველი უიმბლდონის ტურნირის ფინალისტი იყო შარშანწინ. სსრ კავშირის ჩემპიონი ა. დმიტრიევა გასულ წელს ავსტრალიელ დ. ტებერტთან ერთად ქალთა წყვილების შეჯიბრებაში ნახევარფინალამდე მივიდა.

ამჯერად ბევრს მოველით ა. ივანოვასგან. ალას კარგი შანსები აქვს მოიგოს უიმბლდონის ტურნირი გოგონებს შორის. ამას ადასტურებს ა. ივანოვას მიერ აღებული კარგი სტარტი ინგლისში. ბეკნემ-კლუბის ტურნირში, რომელიც ბალახიან კორტებზე მიმდინარეობდა, ივანოვამ კარგი სპორტული ფორმა გამოამჟღავნა და ორი პირველი ადგილი დაიკავა: გოგონებს შორის და „ა" ჯგუფის ქალთა შორის. ინგლისური პრესა აღნიშნავს ივანოვას მძლავრ მიწოდებებს, მის თამამ და შეუპოვარ მოქმედებას კორტზე, შესანიშნავ ფიზიკურ მომზადებას.

ჯერჯერობით ვერ არის ფორმაში ზამთრის საკავშირო შეჯიბრებებში გამარჯვებული ა. მეტრეველი. როგორც ჩანს, თავს იჩენს ამასწინანდელ შეჯიბრებებში ტრავმირებული ხელი. მაგრამ ისეთი დიდი პოტენციური შესაძლებლობის ჩოგბურთელისგან, როგორიც მეტრეველია, შეიძლება მოველოდოთ მძლავრ ბიძგს წინ და უიმბლდონის კორტებზე დაძაბული ორთაბრძოლების მოგებას. უკეთესის იმედი ვიქონიოთ!

**ვ. კოლეგორსკი,**
სსრ კავშირის ჩოგბურთის ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი.

• • •

სურათზე: ა. ივანოვა.
ფოტო ი. იუნაევისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფეხბურთში მსოფლიო პირველობის მიმოხილვა

წლევანდელი საერთაშორისო საფეხბურთო სეზონი საინტერესო და დატვირთულია ისე, როგორც არასდროს. რომ არაფერი ვთქვათ ეროვნულ ჩემპიონატებზე, ამხანაგურ შეხვედრებზე პირველი ნაკრები გუნდების დონეზე, ევროპაში სულ ახლახან დამთავრდა ორი დიდი ტურნირი — ჩემპიონთა თასი და თასების მფლობელთა თასი. დასასრულს უახლოვდება კონტინენტის თასის გათამაშება ეროვნულ ნაკრებთა შორის. მიმდინარეობს შესარჩევი მატჩები ტოკიოს ფინალური ტურნირისთვის, რის შემდეგ ოლიმპიური ნადავლის მოსაპოვებლად იაპონიის დედაქალაქში თავს მოიყრის 16 უძლიერესი.

ერთი სიტყვით, დიდი შეჯიბრებები საკმარისზე მეტია, მაგრამ თავისი მნიშვნელობით ვერც ერთი მათგანი ვერ შეედრება მსოფლიო ჩემპიონატს — ჟიულ რიმეს თასის გათამაშებას, რომელიც ოთხ წელიწადში ერთხელ აწესრიგებს საფეხბურთო იერარქიის რთულ და პრობლემატურ საკითხებს ჩვენს პლანეტაზე. ეს 4-წლიანი ციკლი აღსავსეა უაღრესად ძნელი, ეტაპობრივი ბრძოლით, რომელიც, მართალია, თავისი სტრუქტურით სრულყოფილი არაა, მაგრამ, ასე თუ ისე, არკვევს ამა თუ იმ ქვეყნის ჰეგემონიას მორიგ გათამაშებამდე.

სპორტული მსოფლიო უდიდესი ყურადღებით ელოდა ცნობებს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის შტაბიდან — ციურიხიდან, სადაც 1963 წლის 30 დეკემბერს, ზედ ახალი წლის წინ, მოეწყო ოქროს ქალღმერთისთვის ბრძოლის კენჭისყრა, მონაწილეთა დანაწევრება ცალ-ცალკე ჯგუფებად და ქვეჯგუფებად. დამთავრდა კენჭისყრა, ხუთივე კონტინენტის პრესის სააგენტოებმა ელვის სისწრაფით დაიტაცეს ეს საინტერესო ცნობები და მიმომხილველებიც შეუდგნენ თავიანთ „პირდაპირ მოვალეობათა“ შესრულებას — პროგნოზებს, მარჩიელობას და „კარტის გაშლას“.

ჟიულ რიმეს თასის VIII გათამაშებაში მოსახვედრად იბრძოლებს სულ 71 გუნდი. აქედან ორნი — ბრაზილია და ინგლისი (ჩემპიონი და ორგანიზატორი) სარგებლობენ შეუვალი ტრადიციული პრიორიტეტით — პირდაპირ შევიდნენ ფინალისტთა რიცხვში, ე. ი. ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპს, ამ თავისებურ „განსაწმენდელს“ გაივლის 69 გუნდი, სადაც მხოლოდ 14 ადგილია ვაკანტური.

ფეხბურთის მოყვარულთათვის ინტერესმოკლებული არ იქნება გადავავლოთ თვალი მიმომხილველთა პროგნოზებს, შეხედულებებს და მათი აზრი გავაცნოთ მკითხველებს.

## ● I ჯგუფი

### ბულგარეთი, ბელგია, ისრაელი

ისრაელი პროგნოზების პირველ „ტურსაც“ ვერ უძლებს. იგი სპეციალისტებს განწირულად მიაჩნიათ და ფავორიტებად ასახელებენ ბელგიას და ბულგარეთს. მაგრამ დებულების თანახმად ფავორიტი უნდა იყოს ერთი და არა ორი. მაშ ვინ?

უმეტესობა წინა პლანზე აყენებს ბელგიელებს, რომლებმაც შარშან დაამარცხეს ჰოლანდიის, ბრაზილიის, ესპანეთისა და საფრანგეთის გუნდები, ამასთან ევროპის საკლასიფიკაციო სიაში II—IV ადგილებზე მოხვდნენ (შვეციის შემდეგ). ბელგია, რასაკვირველია, ახლა ძლიერად თამაშობს და თავის რიგებში ჰყავს ისეთი მაღალი კლასის ოსტატები, როგორიცაა, თუნდაც, ცენტრალური ფორვარდი პ. ვან ჰიმსტი. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბულგარელებსაც არ ჩაუტარებიათ ურიგოდ შარშანდელი სეზონი და მათს აქტივში ისეთი „კოზირებია“, როგორც გამარჯვებები პორტუგალიის, ჩეხოსლოვაკიის, საფრანგეთის გუნდებთან. ეტყობა, აქ ყველაფერს გადაწყვეტს ორი შეხვედრა ფავორიტთა შორის.

## ● II ჯგუფი

### გფრ, შვეცია, კვიპროსი

დავიწყოთ იმით, რომ კვიპროსი არაა სათვალავში მისაღები, როცა ლაპარაკია შვეციისა და გფრ-ის გუნდებზე. ეს ცხადია. ამ ორთა დავა კი არც ასე იოლი გადასაწყვეტია. მართალია, შარშან შვედებმა საერთო აღიარებით ევროპაში პირველი ადგილი დაიკავეს და გერმანელებიც დაამარცხეს (2 : 1), მაგრამ, ჯერ ერთი, ყველაფერი ეს წარსულს ეკუთვნის, მეორეც — გფრ-ის ნაკრების მოთამაშეთა ძალების მობილიზაცია და სიძლიერე საპასუხისმგებლო მატჩებში საყოველთაოდ ცნობილია. მით უმეტეს, როცა საქმე ეხება მსოფლიო ჩემპიონატს. ასე რომ, უპირატესობა, ძალზე მცირე უპირატესობა, მაინც გერმანელებს ეძლევა.

## ● III ჯგუფი

### იუგოსლავია, საფრანგეთი, ლუქსემბურგი, ნორვეგია

ეს ძალზე ძნელი და ძლიერი ჯგუფია, სადაც არ არის დამარცხებისთვის წინასწარ განწირული, თავისებური „რუდიმენტი“. ზოგიერთი სკეპტიკოსის აზრით, ნორვეგიელებისა და ლუქსემბურგელთა მარცხი არ იწვევს ეჭვს ახლავე, მაგრამ, ჩვენის აზრით, წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ეს ორი გუნდი ჩამორჩენილთა შორის იმყოფებოდა.

და მაინც, III ჯგუფში ბრძოლა ძირითადად მოსალოდნელია იუგოსლავიასა და საფრანგეთს შორის. უკვე 40 წელია ეს ორი ქვეყანა სისტემატურად ხვდება ერთმანეთს მწვანე მინდორზე და მათი საფეხბურთო ურთიერთობანი უკვე გარკვეულ პრინციპულ დავამდეა ასული. თუ გადავხედავთ წარსულს, ისტორია უპირატესობას იუგოსლაველებს ანიჭებს. ევროპის შარშანდელ კლასიფიკაციაშიც ისინი თავიანთ ტრადიციულ მეტოქეზე მაღლა დგანან და ამდენად მათი შანსებიც სამჯობინოა, მაგრამ ფრანგები თავიანთ ნაკრებს ახლა ამზადებენ ახალგაზრდა მოთამაშეთა ხარჯზე და შესარჩევი მატჩების პერიოდისთვის შეიძლება ეს გუნდი ძალზე ძლიერად იქცეს.

## ● IV ჯგუფი

### ჩეხოსლოვაკია, პორტუგალია, რუმინეთი, თურქეთი

მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონებს — ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელებს აშკარად უიღბლო კენჭი შეხვდათ. ესოდენ მაღალი ტიტულის მფლობელი გუნდი 1963 წელს იმდენად სუსტად თამაშობდა, რომ ევროპის საკლასიფიკაციო ცხრილში ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზე მოხვდა. მიუხედავად იმისა, რომ გუნდის შემადგენლობაში რამდენიმე პირველხარისხოვანი ფეხბურთელია, მწვრთნელის რ. ვიტლაჩილის მიერ აწყობილ მექანიზმში სერიოზული ბზარი გაჩნდა და არავინ იცის — გამოსწორდება თუ არა საქმე ახლო მომავლისთვის.

თავისი შემადგენლობით ჯგუფი იმდენად ძლიერია, რომ მის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტს — პორტუგალიას პროტესტის შეტანაც კი დაჭირდა ფიფა-ში. პორტუგალიელებს ის მოტივი ჰქონდათ, რომ მათი გუნდის გამგზავრება თურქეთში, რუმინეთსა და ჩეხოსლოვაკიაში გამართლებული არაა ფინანსური თვალსაზრისით. მაგრამ ეს პროტესტი, რასაკვირველია, თავისებური შირმაა. სინამდვილეში, პორტუგალიის ფედერაციას არ მოეწონა ჯგუფის შემადგენლობა და ვინაიდან მას გადაწყვეტილი აქვს ახლა მაინც კარგად ითამაშოს მსოფლიო ჩემპიონატში, პროტესტი განაცხადეს. როცა პორტუგალიელები დარწმუნდნენ, რომ მათს პროტესტს ფარატინა ქაღალდის ფასი აქვს, შეუდგნენ საკლასიფიკაციო ტურნირისთვის სერიოზულ მზადებას და დაგეგმეს საერთაშორისო შეხვედრათა მთელი სერია.

## ● V ჯგუფი

### შვეიცარია, ჩრდ. ირლანდია, ჰოლანდია, ალბანეთი

ჯგუფი თავისი საერთო შემადგენლობით აშკარად სუსტია. ყოველ შემთხვევაში, გაცილებით ჩამორჩება სხვა დანარჩენებს. არც ერთ გუნდს არა ჰქონია რამდენიმე მაინც ღირსშესანიშნავი მიღწევები და ამ მკრთალ ფონზე გამარჯვების ყველაზე მეტი შესაძლებლობა აქვს ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდს: ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ მისი საუკეთესო მოთამაშეები, რომლებიც ახლა ინგლისის პროფესიულ კლუბებში გამოდიან, ალბათ ჩამოვლენ თავიანთ სამშობლოში მისი სპორტული პრესტიჟის დასაცავად.

## ● VI ჯგუფი

### უნგრეთი, ავსტრია, გდრ

შეიძლება, ორიოდე წლის წინ აქ ფავორიტად დაესახელებინათ ავსტრია. ეს იყო ის დრო, როცა აქაური „ვუნდერტიმი“ არნახულ რენესანსს განიცდიდა. მაგრამ ავსტრიელებს მოთამაშეთა რესურსები არ ეყოთ პირველი წარმატებების შესანარჩუნებლად და შარშან მათ ისევ გადმოინაცვლეს არიერგარდში. სამაგიეროდ, შესამჩნევად დაწინაურდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები, რომლის მდიდარ შესაძლებლობებზე მეტყველებს თუნდაც სსრ კავშირის გუნდთან ჩატარებული ოლიმპიური ტურნირის შესარჩევი მატჩები. ბრძოლა ამ ჯგუფში იოლი არ იქნება, მაგრამ იგი უნდა დასრულდეს უნგრელთა გამარჯვებით, რომლებსაც ახლა ძალზე ძლიერი, შეთამაშებული გუნდი ჰყავთ.

## ● VII ჯგუფი

### სსრ კავშირი, დანია, უელსი, საბერძნეთი

კენჭისყრამ ისე წაიყვანა საქმე, რომ სსრ კავშირისა და დანიის ფეხბურთელებმა ერთმანეთს შორის კიდევ 2 მატჩი უნდა ჩაატარონ უმაღლეს დონეზე, — ამჯერად მსოფლიო პირველობაზე. სსრ კავშირის ნაკრებს ადრე სამჯერ ჰყავს დამარცხებული დანიის გუნდი და, უნდა ვიფიქროთ, იგი ამჯერადაც გაიმარჯვებს როგორც დანიასთან, ისე უელსთან და საბერძნეთთანაც.

## ● VIII ჯგუფი

### იტალია, შოტლანდია, პოლონეთი, ფინეთი

პროგნოზების დიდი უმრავლესობა იტალიელთა მხარესაა. მიმომხილველთა საერთო აზრით „სკუადრა აძურა“, მიუხედავად მისი მარცხისა ევროპის თასზე სსრ კავშირის ნაკრებთან, კვლავინდებურად განაგრძობს პროგრესის გზით სიარულს და მისი საუცხოო მოთამაშეები ბოლოსდაბოლოს იტყვიან თავიანთ გადამწყვეტ სიტყვას. ყველაფერი ეს მართალია, მაგრამ გავიხსენოთ შოტლანდიელთა წარმატებები გასულ წელს: ინგლისთან — 2 : 1, ავსტრიასთან — 4 : 1, ესპანეთთან — 6 : 2, ნორვეგიასთან — 6 : 1, უელსთან — 2 : 1. ასეთი მაჩვენებლების მქონე გუნდს სრული საფუძველი აქვს „დუელში“ გამოიწვიოს იტალიის ეროვნული ნაკრები.

## ● IX ჯგუფი

### ესპანეთი, ირლანდია, სირია.

სადავო და სამარჩიელო აქ არაფერია. ესპანეთის ნაკრები ბოლო წლებში ჯერ არ ყოფილა ისე ძლიერი, როგორც ახლა. ამიტომ მისი გამარჯვება შესარჩევ თამაშებში თითქმის გარანტირებულია.

## ● X ჯგუფი

### ინგლისი

ჩემპიონატის მასპინძლებს საღარდებელი არაფერი აქვთ 1966 წლამდე. ფინალში ისინი მასპინძლის მანდატით შედიან.

## ● XI ჯგუფი

### ურუგვაი, პერუ, ვენესუელა

ეს უკვე სამხრეთ ამერიკაა. ლოგიკური დასკვნების გამოტანა, პროგნოზები ევროპაში ასე თუ ისე ემყარება გარკვეულ კანონზომიერებას, მაგრამ „ფეხბურთის კონტინენტი“ აღსავსეა სიურპრიზებით და მოულოდნელობებით. აქ ისეთი ამბები შეიძლება მოხდეს, რომელსაც ვერ წარმოიდგენს ვერავითარი ფანტაზია. და მაინც ამ ჯგუფში უნდა გაიმარჯვონ ურუგვაელებმა.

## ● XII ჯგუფი

### ჩილი, კოლუმბია, ეკვადორი

აქაც იგივე ამბავია, მაგრამ ძნელად, რომ ჩილელებმა დაანებონ თავიანთ მეტოქეს ფინალში გამგზავრების უფლება.

## ● XIII ჯგუფი

### არგენტინა, პარაგვაი, ბოლივია

ფავორიტი, თქმა არ უნდა, არგენტინაა, თუმცა პარაგვაის გამძლე გუნდთან და ბოლივიის „სტრატოსფერულ“ სიმაღლეზე თამაში (4.200 მეტრი ზღვის დონიდან) ძნელია თვით არგენტინელთათვისაც კი.

## ● XIV ჯგუფი

### ბრაზილია

ეს წმინდა სიმბოლიური ჯგუფია. ბრაზილია მსოფლიოს ჩემპიონია, ამიტომ პელესა და გარინჩას გუნდი ინგლისში ჩავა, როგორც ფეხბურთის ორგზის გვირგვინოსანი.

## ● XV ჯგუფი

აქ უკვე იწყება მათემატიკა. ჩრდილოეთ და ცენტრალურ ამერიკაში შექმნილია 3 ქვეჯგუფი. **პირველი** — კუბა, იამაიკა, ნიდერლანდების ვესტ-ინდოეთი; **მეორე** — სურინამი, ტრინიდადი, კოსტა-რიკა; **მესამე** — მექსიკა, აშშ, გონდურასი.

საფეხურებად ჩატარებული შეჯიბრების შემდეგ უნდა გამოვლინდეს ერთი ფინალისტი. საფიქრებელია, რომ ეს იქნება მექსიკა.

## ● XVI ჯგუფი

ფინალის ბოლო, მე-16 მონაწილეს გამოარკვევს ფეხბურთში ჯერ კიდევ ჩამორჩენილი სამი კონტინენტის — აფრიკის, აზიისა და ავსტრალიის ერთი რომელიმე გუნდი. ფიფა-ს ამ გადაწყვეტილებას მოჰყვა მკაცრი პროტესტი აფრიკიდან. კერძოდ, ტუნისის ფედერაციამ გადაჭრით გაილაშქრა ამ „დისკრიმინაციული“ დადგენილების წინააღმდეგ და მოითხოვა, რომ სამ კონტინენტს სულ ცოტა ორი ადგილი მაინც ერგება ფინალში. ტუნისელები იმუქრებოდნენ, რომ თუ ფიფა არ გადახედავდა თავისი განაწილების ამ პუნქტს, ისინი დემონსტრაციულად გამოუცხადებდნენ ბოიკოტს მსოფლიო ჩემპიონატს.

ტუნისს საერთაშორისო ფედერაციიდან ფრიად მრავლისმეტყველი, ლაკონური პასუხი მოუვიდა: „რომ ჩვენი ეს დადგენილება არა, ევროპასთან და სამხრეთ ამერიკასთან ბრძოლაში ვერ მიიღებდით იმ ერთ ადგილსაც კი“.

კანონი — კანონია. ამიტომ სამი კონტინენტი უნდა დაჯერდეს თავის მინიმალურ ლიმიტს — ერთ ადგილს. აქ სახელმწიფოები დაიყვნენ შემდეგნაირად: **აფრიკაში** — განა, გვინეა, სუდანი, კამერუნი; ტუნისი, ალჟირი, ლიბერია; მაროკო, სენეგალი, მალი; ეთიოპია, გაბონი; არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა, ლიბია, ნიგერია. **აზიაში** — ჩინეთი, სამხრეთ კორეა, სამხრეთ აფრიკის კავშირი, ავსტრალია.

ამ ორ ქვეჯგუფში გამარჯვებული გუნდები შეხვდებიან ერთმანეთს ფინალისტის გამოსავლენად. მიმომხილველების აზრით ეს უნდა იყოს არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის საკმაოდ ძლიერი გუნდი.

ამრიგად, პროგნოზების დიდი უმრავლესობა იძლევა ფინალისტთა ახეთ შემადგენლობას: ბელგია, გფრ, იუგოსლავია, პორტუგალია, ჩრდილოეთ ირლანდია, უნგრეთი, სსრ კავშირი, იტალია, ესპანეთი, ურუგვაი, ჩილი, არგენტინა, მექსიკა, არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა. მათ ემატებიან ბრაზილია და ინგლისი.

საინტერესოა, რამდენად გამართლდება ეს პროგნოზები.

ბ. ქორქია

## ლელო, მადრიდში

◆ ბოლო 7 წლის მანძილზე ესპანეთის ნაკრებმა ჩაატარა 43 საერთაშორისო შეხვედრა. ესპანელებმა მოიგეს 24 მატჩი, 8 ფრედ დაამთავრეს და 11 წააგეს.

◆ ბარსელონაში, სადაც საბჭოთა ფეხბურთელებმა დაამარცხეს დანიის გუნდი, მათ აშკარა სიმპათიები ჰქონდათ მაყურებელთა მხრივ. ახლა კი ესპანეთის გაზეთები წინასწარ იუწყებიან, რომ მადრიდში ეს არ გამეორდება. მასპინძლებს, რა თქმა უნდა, ექნებათ ტრიბუნების ასპროცენტიანი მხარდაჭერა.



სურათზე: ერთ-ერთი მომენტი ბათუმში მოწყობილ წყალბურთელთა საერთაშორისო მატჩიდან სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და რუმინეთის „ზვეზდას" გუნდებს შორის. მეტოქის კარს უტევენ საბჭოთა სპორტსმენები.
ფოტო ა. ტუღუშისა.

# კალათბურთელთა სავიზიტო ბარათები

საბჭოთა კავშირის სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს კალათბურთელთა მიმართ არავითარი პრეტენზიები არ უნდა ჰქონდეთ. რატომ? გადახედეთ ჩვენი ნაკრები გუნდების და საკლუბო კოლექტივების სავიზიტო ბარათებს. პასუხს ისინი გაგცემენ.

სსრ კავშირის კალათბურთელ ქალთა ნაკრებმა ევროპის შვიდ პირველობაში მიიღო მონაწილეობა (აქედან ექვსი I ადგილი და ერთი — II). ჩვენი ნაკრები მსოფლიოს სამ პირველობაშიც გამოდიოდა: ორჯერ მან პირველი, ხოლო ერთხელ მეორე ადგილი დაიკავა.

ქალებს მაინცდამაინც არც ვაჟები ჩამორჩებიან. ევროპის რვა ჩემპიონატი — შვიდი I და ერთი III ადგილი, მსოფლიოს ორი ჩემპიონატი — ორივეჯერ ადგილი პირველ სამეულში და, ბოლოს, სამი ოლიმპიური თამაშები — სამი II ადგილი.

ჩვენი ქვეყნის უძლიერესი საკლუბო გუნდები ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ექვსჯერ მონაწილეობდნენ. ქალებმა საპატიო ჯილდო ოთხჯერ დაიმსახურეს (რიგის ტტტ), ვაჟებმა კი — ექვსჯერ (სამჯერ — რიგის სკა, ორჯერ — ცსკა და ერთხელ — თბილისის „დინამო"). წელს ჩვენი კალათბურთელების კოლექცია კიდევ ერთი საპატიო ნადავლით გამდიდრდა, იუნიორთა ევროპის ჩემპიონატში საბჭოთა სპორტსმენებმა ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწიეს.

როგორც ხედავთ, ჩვენს კალათბურთელებს მსოფლიოში წამყვანი პოზიცია უკავიათ.

რით შეიძლება ავხსნათ ეს წარმატებები? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა მოკლე ისტორიული ექსკურსი.

რუსეთში კალათბურთის პირველი ენთუზიასტები პეტერბურგში იყვნენ თავმოყრილნი. ენთუზიასტთა ამ ჯგუფს ხელმძღვანელობდა ს. ვასილიევი, რომელსაც ხუმრობით რუსეთის ნეისმიტს უწოდებდნენ. ამ ჯგუფის ინიციატივით 1906 წელს გაიმართა კალათბურთელთა გუნდების პირველი მატჩი. მაგრამ სპორტის აღნიშნული სახეობით გატაცება რევოლუციამდელ რუსეთში მაინც ეპიზოდური ხასიათისა იყო.

ჩვენი ქვეყნის პირველი ჩემპიონატი კალათბურთში 1924 წელს მოეწყო, ხოლო პირველი საერთაშორისო შეხვედრა — 1946 წელს, მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციაში შევიდა. პირველივე საერთაშორისო შეხვედრებმა (1946 წელს საფრანგეთთან, 1947 წელს — ჩეხოსლოვაკიასთან) ჩვენს კალათბურთელებს წარმატება მოუტანა. ეს იყო დიდ გამარჯვებათა დასაწყისი.

სპორტის პოპულარობის პირველი კრიტერიუმი მაყურებელია, მეორე კი თვით სპორტსმენთა რაოდენობა. მაყურებელთა რიცხვის მხრივ კალათბურთი მხოლოდ ფეხბურთსა და ჰოკეის ჩამორჩება, ხოლო სპორტსმენთა რაოდენობით (საბჭოთა კავშირში 2,5 მილიონი კალათბურთელია) იგი ფრენბურთის შემდეგ მეორე ადგილზეა. განსაკუთრებით პოპულარულია კალათბურთი არმიაში და სტუდენტთა ორგანიზაციებში.

სსრკავშირში ძნელად მოიძებნება ქალაქი, რომელშიც კულტივირებული არ იყოს კალათბურთი. და მაინც, ჩვენს ქვეყანაში არის კალათბურთის რამდენიმე მსხვილი ცენტრი. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ბალტიისპირეთის რესპუბლიკები, უკრაინა, საქართველო, მოსკოვი, ლენინგრადი, სვერდლოვსკი და როსტოვი.

ბალტიისპირეთის სპორტსმენები ომისწინანდელ პერიოდში ევროპაში უძლიერესებად ითვლებოდნენ. მას შემდეგ, რაც ლიტვა, ლატვია და ესტონეთი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემოვიდნენ, ამ რესპუბლიკების კალათბურთმა თვისობრივად იცვალა სახე. ბალტიისპირელთათვის დამახასიათებელ ტექნიკურობას დაემატა მანამდე მათთვის უჩვეული, მაღალი ფიზიკური მომზადება და სისწრაფე. საბოლოო ჯამში მიღებულ იქნა პროგრესული სინთეზი, რომელსაც საბჭოთა კალათბურთი დაერქვა. აი, სწორედ ამ კალათბურთმა უკანასკნელი წლების მანძილზე დიდი გამარჯვებები მოიპოვა, რომელთა მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გაცდა.

საბჭოთა კალათბურთმა წარმატებით გადაჭრა მთელი რიგი პრობლემები. მათ შორის, სიმაღლისა და ასაკის საკითხი. დღეს ჩვენი სპორტსმენები მსოფლიოში პირველ ადგილზე არიან როგორც სიმაღლის, ისე სიახალგაზრდავის მხრივ. ამას თუ დავუმატებთ მაღალ ფიზიკურ და მორალურ თვისებებს, ტექნიკურ სრულყოფას, ცხადი გახდება, თუ რატომ თვლიან ჩვენს სპორტსმენებს ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვების ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად. იმედი გვაქვს, რომ როგორც საბჭოთა, ისე უცხოელი სპეციალისტების წინასწარმეტყველებას ჩვენი სახელოვანი კალათბურთელები გაამართლებენ.

ა. პინჩუკი

## ყველაფერი მზად იქნება სექტემბრისთვის

ოლიმპიური დედაქალაქის — ტოკიოს ყველა სპორტული ნაგებობა მზად იქნება 31 აგვისტოსათვის. ამჟამად მთავარ ეროვნულ სტადიონზე დამთავრებულია სამუშაოთა 99 პროცენტი. ოლიმპიადის ორგანიზატორთა ძირითად სიძნელეს ახლა წარმოადგენს ქალაქში ახალი გზატკეცილებისა და გზების მშენებლობა. 23 ფართო ქუჩა აეროპორტს, ტოკიოს ცენტრს, ნავსადგურს დააკავშირებს შეჯიბრების ადგილებთან.

## იტალიელთა იმედები

ტოკიოს ოლიმპიადაზე წარმატებით გამოსვლის დიდი სურვილი აქვთ იტალიელ სპორტსმენებს. სპორტული კოსტუმების 200 კომპლექტი, რომლებსაც წარწერილი აქვს „იტალია", ელოდება თავის მფლობელებს.

იტალიელები ძირითად იმედებს ამყარებენ სპორტის იმ სახეობებზე, რომლებშიც ისინი უკანასკნელ წლებში წარმატებით გამოდიან საერთაშორისო სარბიელზე. მაგალითად, ველოსიპედისტთა შეჯიბრებებში იტალია გამოვა პროგრამის ყველა სახეობაში. 7 ტანმოვარჯიშე ფ. მენიჩელთან ერთად თავიანთ ოსტატობას აჩვენებს „გიმნაზიუმის" დარბაზში.

## სნელის ორი მედალი?

ახალზელანდიელ მძლეოსანთა მწვრთნელმა არტურ ლიდიარდმა ჯერ კიდევ ოლიმპიადის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე ორი ოქროს მედალი „მიაკუთვნა" თავის აღზრდილს — პიტერ სნელს. მსოფლიო რეკორდსმენის საყვარელი დისტანცია 800 მეტრია, მაგრამ ახალზელანდიელი ემზადება კილომეტრნახევარზე რბენისთვისაც.

„თავდაპირველად სნელი იბრძოლებს 1.500 მეტრზე რბენაში გამარჯვებისთვის, შემდეგ კი გამოვა 800-მეტრიან დისტანციაზე, — ამბობს ლიდიარდი. — ამჟამად მსოფლიოში ვერავინ აჩვენებს ისეთ შედეგს, როგორსაც პიტერი. მე ვერ ვხედავ მიზეზს, რომ პიტერმა ტოკიოდან ოქროს ორი მედალი არ წამოიღოს".

## კვლავ გამარჯვება

კრაკოვში გრძელდება დინამოელ კალათბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. ქვეჯგუფებში გამარჯვებული ოთხი გუნდი პირველობისათვის იბრძვის, დანარჩენები კი V—VIII ადგილებისთვის. ფინალური ტურნირი ტარდება წრიული სისტემით (წინასწარ შეხვედრათა შედეგები ჩათვლაში არ შედის).

ფინალის პირველ დღეს საბჭოთა „დინამომ" დაამარცხა ჩინეთის „ძიან-ვეის" გუნდი—77:68 (35:31). პოლონეთის „გვარდიამ" მოუგო გდრ-ის „დინამოს"—77:56 (42:26).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თ. ლეიუსი — ფინალში

ლონდონის ბალახის კორტებზე დასასრულს უახლოვდება ინგლისის დედაქალაქის პირველობა ჩოგბურთში. ტურნირში ჩინებულად გამოდის სსრ კავშირის ჩემპიონი, ტალინელი სტუდენტი თომას ლეიუსი. მეოთხედფინალში სენსაციური გამარჯვების შემდეგ ავსტრალიის ერთ-ერთ უძლიერეს სპორტსმენზე კ. ფლეტჩერზე (6:0, 4:6, 6:3), თომასმა ნახევარფინალში მოუგო ცნობილ მექსიკელ ჩოგბურთელს რ. ოსუნას — 6:3, 3:6, 6:1.

წინაა მხოლოდ ფინალი, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს — ვინ იქნება ლონდონის ჩემპიონი — ლეიუსი თუ ემერსონი?

დაძაბულად მიმდინარეობდა სსრ კავშირის ჩემპიონის, მოსკოველ ანა დმიტრიევასა და მსოფლიოში პირველ ჩოგბურთელად აღიარებული მარგრეტ სმიტის (ავსტრალია) ორთაბრძოლა. გაიმარჯვა ავსტრალიელმა — 6:4, 8:6.

მეტრეველ — კოროტკოვის წყვილმა დამარცხება განიცადა მსოფლიოს გასული წლის ჩემპიონებთან ოსუნა — პალაფოქსთან (მექსიკა). დამარცხდა მეორე საბჭოთა წყვილიც ლეიუსი — ლიხაჩოვი. ისე, როგორც ბეკმენში, მათ ამჯერადაც ესპანელთა წყვილმა სანტანა — არილიმ ძლია — 9:7, 4:6, 3:6.

## სამთა ტურნირი

მოსკოვი, 20 ივნისი. დღეს აქ გაიმართა ვ. ი. ლენინის ცენტრალური სტადიონის პრიზის გათამაშების ბოლო მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირის ფეხბურთელთა ახალგაზრდული ნაკრები და „ჰაიდუკი" (იუგოსლავია). გაიმარჯვეს სტუმრებმა — 3:0, რომლებმაც მოიპოვეს პრიზი ბურთების უკეთესი შეფარდებით.

## ადამიანები, ქალაქები, რეკორდები, სამყარო...

◆ ფლორენცია. გაიმართა „ფიორენტინას" კლუბის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის მეორე მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ „სანპაულოსა" და „ფიორენტინის" გუნდები. მწვავე ბრძოლამ გამარჯვება მოუტანა სტუმრებს — 2:1.

◆ პრაღა, 20 ივნისი. დღეს თბილისის „ბურევესტნიკის" ხელბურთელები დამარცხდნენ ცნობილ გუნდთან „სპარტაკი-სოკოლოვო" (პრაღა) — 17:19 (10:9). თბილისელთაგან ყველაზე მეტი ბურთი გაიტანეს: ცერცვაძემ (6), ბაგრატიონმა და ფხაკაძემ (3-3).

◆ კოპენჰაგენი. აქ გამართულ სკანდინავიის, სსრ კავშირის, იაპონიისა და გფრ-ის მძლეოსანთა მატჩის დროს მოსკოველმა ი. პრესმა ხუთჭიდში მოაგროვა 4.959 ქულა. დანიის პრესის აზრით, საბჭოთა სპორტსმენის გამოსვლა მატჩის დამაგვირგვინებელი იყო. ალმაატელმა ვ. სავინკოვმა გაიმარჯვა 1.500 (3.46,3) და 3.000 (8.33,4) მეტრზე რბენაში.

◆ ბელგრადი. დამთავრდა იუგოსლავიის საფეხბურთო ჩემპიონატი. პირველი ადგილი მოიპოვა დედაქალაქის „ცრვენა ზვეზდამ". გასული წლის ჩემპიონი — „პარტიზანი" (ბელგრადი) V ადგილზე გამოვიდა.

◆ ვარშავა. პოლონეთის ჩემპიონობა კვლავ დაისაკუთრეს „გურნიკის" (ზაბჟე) ფეხბურთელებმა. მათ 40 ქულა მოაგროვეს და 9 ქულით გაუსწრეს უახლოეს კონკურენტებს.

◆ პრაღა. ადგილობრივმა „დუკლამ" ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელთა ჩემპიონატში მოაგროვა 37 ქულა და I ადგილი მოიპოვა.

## დღეს და ხვალ თბილისში

### 21 ივნისი

ფეხბურთი. საქართველოს პირველობა. „მეშახტე" (ტყიბული) — „მესხეთი" (ახალციხე). „დინამოს" სტადიონი. დასაწყისი 18 ს. და 30 წ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი — „გურია" (ლანჩხუთი). „ლოკომოტივის" დილმის სპორტული ბაზა. დასაწყისი 18 ს. ფიზკულტურის ინსტიტუტი — „შახტიორი" (ტყვარჩელი). სკა-ს სტადიონი. დასაწყისი 18 ს. სახელმწიფო უნივერსიტეტი — „ნადიკვარი" (თელავი). სკა-ს სტადიონი. დასაწყისი 15 ს. და 30 წ. „ისანი" (თბილისი) — „წინსვლა" (წულუკიძე). 26 კომისრის სტადიონი. დასაწყისი 18 ს. „სინათლე" (თბილისი) — „მაღაროელი" (ჭიათურა). „დინამოს" დილმის ბაზა. დასაწყისი 17 ს. და 30 წ.

ქალაქის თასის გათამაშება ფიზკულტურული კოლექტივების გუნდებს შორის. შამპანკომბინატის, არმიელთა სპორტული კლუბის, მედქალაქისა და სტუდქალაქის სტადიონები. დასაწყისი 10 საათზე.

წყალბურთი. საკავშირო პირველობა „ბ" კლასის გუნდებისთვის, ამიერკავკასიის ზონის წინასწარი თამაშები. მონაწილეობენ — თბილისის „ბურევესტნიკი" და „ლოკომოტივი", ბაქოს სკა და ბავშვთა ცენტრალური სპორტსკოლა. ფიზკულტურელის პარკის საცურაო აუზი. დასაწყისი 12 ს.

ჭადრაკი. სსრ კავშირის ჩემპიონატის ნახევარფინალში თამაშის უფლებისათვის ჯ. ბერაძე — თ. კიკიანის მატჩი. ცენტრალური საჭადრაკო კლუბი. დასაწყისი 18 ს.

### 22 ივნისი

ფეხბურთი. ფინალური მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე „ა" და „ბ" კლასის გუნდებთან არსებულ მოზარდთა გუნდებს შორის. „დინამო" (თბილისი) — „კოლხიდა" (ფოთი). დასაწყისი 17 ს. „ლოკომოტივი" (თბილისი) — ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლა (თბილისი). დასაწყისი 18 ს. და 45 წ. (ორივე — „ბურევესტნიკის" სტადიონზე).

## დღის მეგობრები

◆ ბარსელონის ნახევარფინალური მატჩის შემდეგ საბჭოთა ფეხბურთელებთან მოვიდა წარსულის განთქმული მეკარე რიკარდო ზამორა. მისი სურვილი, პირველ ყოვლისა, იყო გაცნობოდა ლ. იაშინს. „პრავდის" კორესპონდენტის შეკითხვაზე რ. ზამორამ უპასუხა: „მე არაერთხელ მინახავს იაშინის თამაში. კერძოდ, ვიხილე იგი ლონდონში, მსოფლიოს ნაკრების შემადგენლობაში. დარწმუნებული ვარ, თუ ოდესმე შემძლებია რამე ფეხბურთში, იაშინისთვის ეს უკვე განვლილი ეტაპია".

◆ მადრიდში ჩაიტანეს ევროპის თასი ფეხბურთში, რომელიც 4 წლის განმავლობაში ინახებოდა ვ. ი. ლენინის სახელობის მოსკოვის ცენტრალური სტადიონის მუზეუმში.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების—3-35-09.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 01257